

ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის
N147 ოთახზე, მოქალაქე ჟორა ქათამაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N147 ოთახში მცხოვრები მოქალაქე ჟორა ქათამაძის განცხადება /2013 წლის 04.02 Nქ-1179/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N147 ოთახი/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N147 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჟორა ქათამაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N147 ოთახზე /საერთო ფართობი 17,40 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 17,40 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 30,49 კვ.მ./ მოქალაქე ჟორა ქათამაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი